

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №40

ქ. თბილისი

2019 წელი, 1 მარტი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, თევდორე ისაკაძე

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გაბაშვილი, გოჩა თევდორაძე, დავით უჯმაჯურიძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ნინო კვეტენაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი

ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

სალომე შარაშენიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

დავით ჯაიანი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):

ზურაბ თურმანიძე

ვასილ გიორგაძე

გიორგი გეგელაშვილი

რატი ხეცურიანი

კონსტანტინე კაკულია

ნიკოლოზ გოგეშვილი

მიხეილ აბაიაძე

ირაკლი ჩირაძე

დღის წესრიგი:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-0319058156-03)

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
(12-031834876-03)
 - 1) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება
(12-0319052169-03)

 - 2) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წაგვისში, რუსთაველის ქუჩაზე N44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.21.154; 53 065 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

 - 3) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.094.003) ნაწილზე, 590 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება არსებულ მისამართზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

 - 4) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.011.052) ნაწილზე 203 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

 - 5) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ჩიხის, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.012 ცვლილების ფართობი:

5374 კვ.მ მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება სასტუმროს განთავსების მიზნით.

- 6) თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევი N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.06.063.079) 920 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.
 - 7) ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.
 - 8) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრო/რაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N116 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება 39 994 კვ.მ ფართობზე.
3. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ (12-03190437-03)
4. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №61 (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: N01.18.06.005.034 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031904921-03)
5. “ქ. თბილისში, გულუას ქ . N22/ გორგასლის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031905978-03)
6. „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გ. ტერევერკოს II ჩიხი #2-ში; #4-ში; #6-ში; #9-ში; გიორგი ტერევერკოს ქუჩა #15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.017.065; 01.13.01.017.080; 01.13.01.017.078; 01.13.01.017.079; 01.13.01.017.082; 01.13.01.017.076) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (№12-03190351-03)

7. „ქ. თბილისში ნუცუბიძის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო- სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (12-03190576-03)
8. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის №19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031905083-03)
9. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: #01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით შეთანხმების შესახებ” თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე“ (12-031905084-03)
10. ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (12-031905087-03; 12-031905089-03)
11. ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (12-031905089-03)
12. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-031905297-03)

13. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (12-031905297-03)
14. "ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონის კორპუს N25ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" (12-031905297-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-0319058156-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ბატონმა ლევან მიქავამ. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 62 820,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 063 101,8 ათასი ლარით. ცვლილებები ძირითადად ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების ბიუჯეტში ასახვით, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N29 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 თებერვლის N335 განკარგულებებით. სესხის აღების მიზნით კომერციულ ბანკებში გაიხსნება საკრედიტო ხაზი, რომლის აუცილებლობაც განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ცვლილებებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საშუალება ეძლევა დროულად განახორციელოს ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორცაა თბილისის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები და კახეთის გზატკეცილის რეაბილიტაცია. ასევე, წარმოდგენილ ცვლილებებში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და რაიონული გამგეობების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში ღონისძიებების ღირებულების

დაზუსტებით გამოთავისუფლებული თანხების ხარჯზე ხორციელდება. ბიუჯეტის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილდა 68 324,6 ათასი ლარი შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) იზრდება 1 880,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) იზრდება 4 800,0 ათასი ლარით; ემატება პროგრამა 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 500,0 ათასი ლარის ოდენობით; პროგრამას თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) ემატება 200,0 ათასი ლარი; ქვეპროგრამას დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) ემატება 450,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) იზრდება 30,0 ათასი ლარით; 2 სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) იზრდება 3 357,0 ათასი ლარით; პროგრამა ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) იზრდება 27 920,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებებს (კოდი 03 01) ემატება 5 200,0 ათასი ლარი; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) იზრდება 3 789,6 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) იზრდება 557,3 ათასი ლარით; ქვეპროგრამა მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) იზრდება 200,0 ათასი ლარით; კულტურის დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) იზრდება 200,0 ათასი ლარით; იზრდება გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში სულ 12 262,2 ათასი ლარით, მათ შორის გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში - 2 907,9 ათასი ლარი, გზების მოვლაშეკეთება ნაძალადევის რაიონში - 1 398,7 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში 124,3 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში 1 266,4 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 3 415,0 ათასი ლარი, გზების მოვლაშეკეთება ისნის რაიონში 300,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში -2 000,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში 600,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში 250,0 ათასი ლარი; იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში 2 884,3 ათასი ლარით, მათ შორის კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში - 494,3 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში - 162,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში - 500,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში - 1 127,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში - 600,0 ათასი ლარი; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფის პროგრამას (კოდი 09 01) ემატება 3 992,7 ათასი ლარი; იზრდება ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხარჯები (კოდი 10 28) 101,3 ათასი ლარით. გარდა ამისა ბიუჯეტში ასახული იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების ქვეპროგრამა 37,2 ათასი ლარის ოდენობით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის შემცირების ხარჯზე. მცირდება: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 3 200,0 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და

ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 1 600,0 ათასი ლარით; კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) 30,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) 4,8 ათასი ლარით; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 79,7 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) 83,4 ათასი ლარით; მცირდება მერიის ადმინისტრაციის ხარჯები (კოდი 10 02) 206,8 ათასი ლარით. პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება 3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 000 951,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 910 031,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 658 415,2 ათასი ლარი - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 150 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი - 473 415,2 ათასი ლარი. გრანტები 51 341,5 ათასი ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 881,5 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - სპეციალური ტრანსფერი 50 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 200 274,8 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან - 10 650,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 47 000,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 74 000,0 ათასი ლარი - მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 10 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებლები - 10 850,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 40 000,0 ათასი ლარი; - სხვა შემოსავლები - 7 774,8 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 063 101,8 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია 700 331,8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 347 359,2 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება 15 410,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 320 359,2 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა - 347 359,2 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება - 27 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (63 250,3) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება - 63 250,3 ათასი ლარი. 4 ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 47 409,2 ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების ზრდა 62 820,0 ათასი ლარი. - ვალდებულებების კლება 15 410,8 ათასი ლარი. 2019 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (110 659,5) ათასი ლარით.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, 1 პუნქტის, „და“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(12-031834876-03)

- 1) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.080) მიმდებარედ 163 კვ.მ ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება

(12-0319052169-03)

- 2) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წაგვისში, რუსთაველის ქუჩაზე N44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.21.154; 53 065 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
- 3) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.094.003) ნაწილზე, 590 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება არსებულ მისამართზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.
- 4) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.011.052) ნაწილზე 203 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.
- 5) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ჩიხის, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.012 ცვლილების ფართობი: 5374 კვ.მ) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება სასტუმროს განთავსების მიზნით.
- 6) თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევი N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.06.063.079) 920 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

- 7) ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ძ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.
- 8) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრო/რაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N116 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება 39 994 კვ.მ ფართობზე.

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 2018 წლის 14 დეკემბრის #12-031834876-03 წერილის „ა“ პოზიცია და 2019 წლის 21 თებერვლის 12-0319052169-03 წერილით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ქალბატონმა გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 8 წინადადება, კერძოდ:

(12-031834876-03)

- 1) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება IX კვარტალი კორპუსი „ბ“-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.080) მიმდებარედ (ფართობი: 163 კვ.მ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო ზონით დაფარული ტერიტორია არ წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაწილს და რეალურად ფიქსირდება გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზი. აღნიშნულს ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის N01183342800 წერილი, რომლითაც ტრანსპორტის სამსახური არ ეწინააღმდეგება სატრანსპორტო ზონის გაუქმებას. კომისიის სხდომაზე ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული საკადასტრო ერთეულის ფუნქციური ზონის ცვლილებას ეთქვა უარი.

(12-0319052169-03)

- 2) ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე N44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.21.154; 53 065 კვ.მ) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე „ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში - არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 81.02.21.154) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №324 განკარგულებით დადგენილია ფუნქციურ ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, რუსთაველის ქუჩაზე N44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.154; 53 065 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილება მისაღებია.

- 3) ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ქეთევან წამებულის N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.094.003) ნაწილზე, 590 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება არსებულ მისამართზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით. ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქცია რჩება უცვლელი და იცვლება მხოლოდ ქვეზონა, რაც არ იწვევს გარემოს არსებით ცვლილებას და ემსახურება მხოლოდ სომხური თეატრის ფუნქციონირებას, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსაგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.094.003) ნაწილზე 590 კვ.მ ფართობით სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

- 4) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N33-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.011.052) ნაწილზე 203 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება. მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 1084 კვ.მ-ს, საიდანაც მეოთხედზე უფრო ნაკლებ ფართობზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), აღნიშნული საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დადებითი რეკომენდაციით გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში, თუმცა ამავდროულად ძალაში შევიდა ლისის ტბის ჩარჩო გეგმის შეზღუდვა და შესაბამისად მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.011.052) ფუნქციური ზონის ცვლილებას ეთქვა უარი; დღევანდელი მდგომარეობით გენერალური გეგმის მიმდინარე პროექტის შესაბამისად მიწის ნაკვეთზე არ ვრცელდება ჩარჩო გეგმის შეზღუდვა და როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე მის მიმდებარე არეალს მოიცავს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.011.052) ნაწილზე 203 კვ.მ ფართობზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება შესაძლებელია.
- 5) ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასლის ჩიხის, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.012 ცვლილების ფართობი: 5374 კვ.მ) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება სასტუმროს განთავსების მიზნით. მიმდებარე ტერიტორიის განვითარება მიმდინარეობს მოთხოვნილი ზონირების შესაბამისად, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მომიჯნავედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაცემულია სამშენებლო ნებართვა სასტუმროზე. ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, გორგასლის ჩიხის, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.005.012 ცვლილების ფართობი: 5374 კვ.მ) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

- 6) თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კიბალჩიჩის ხევი N32-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.06.063.079) 920 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება; აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე მდებარეობს სასტუმროს ნაგებობა და გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის თანახმად, მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ ვრცელ არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); ცვლილების შესაძლებლობას ასევე ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის N01190151040 წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.16.06.063.079) 920 კვ.მ ფართობზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება მისაღებია.
- 7) ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება; სატრანსპორტო ზონის გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია დაუსრულებელი მშენებლობის გაგრძელების მიზნით კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საპროექტო ზონირება მოიცავს უკვე არსებულ გრუნტის გზას და შესაბამისი ფუნქციური ზონით მოეწყობა სრულფასოვანი მისასვლელი გზა. წარმოდგენილი კონტური შეთანხმებულია ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან ისე, რომ შენარჩუნდეს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები, რასაც ასევე ადასტურებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 თებერვლის 01190363989 წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: N01.13.04.004.016) მიმდებარედ 1012 კვ.მ ფართობზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მიჩნეული იქნა პრობლემურად და საკითხის დაზუსტების მიზნით განხილვა გადადებული იქნა.
- 8) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ზედა პლატო, IV მიკრო/რაიონის ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179,

01.14.16.009.139) მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N116 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილება 39 994 კვ.მ ფართობზე. განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სპორტული კომპლექსისა და სავაჭრო-კომუნალური ცენტრით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.044, 01.14.16.008.031, 01.14.16.008.042, 01.14.16.009.179, 01.14.16.009.139) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3), საცხოვრებელი ზონა 4-ით (სზ-4) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მიხნეული იქნა პრობლემურად და საკითხის დაზუსტების მიზნით ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (2018 წლის 14 დეკემბრის #12-031834876-03 წერილის „ა“ პოზიცია და 2019 წლის 21 თებერვლის 12-0319052169-03) საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 8 წინადადება, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

3. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ (12-03190437-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონას, და მოიცავს მხოლოდ არსებულ/დაგეგმილ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არასასოფლო-

სამეურნეო ან/და საკარმიდამო გამოყენების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს ასევე მცირე ნაწილზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა. წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტები დამტკიცდა ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 17 აპრილის N735 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 ივნისის N1353 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 12 დეკემბრის N204 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 ივლისის N313 განკარგულებით. საპროექტო ტერიტორია დაყოფილია 114 მიწის ნაკვეთად, რომელზედაც განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, აქედან ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 81.02.03.334 წარმოადგენს გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიას, რომელზეც მოქმედებს სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), მასზე განთავსებულია სტადიონი, ადმინისტრაციული შენობა და საკულტო ნაგებობა; ს.კ N81.02.03.849; 81.02.03.759 გრგს შესაბამისად დაგეგმილია გზის მოწყობა; საპროექტო მიწის ნაკვეთზე საპროექტო წინადადების მიხედვით ტერიტორიის განვითარება დაგეგმილი იყო სზ-1-ის პარამეტრებით კ1=0,5; კ-2=0,7; კ-3=0,2; (სართულიანობა -3 სართული). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოქმედი განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარება (რაციონალიზაცია, ინტენსივობის-სიმჭიდროვის ზრდა) დასაშვებია, მხოლოდ არსებული საინჟინრო, სატრანსპორტო და მწვანე ინფრასტრუქტურის დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისობის ან გაუმჯობესების პირობებში. კორექტირებით დაგეგმილია ორი მიწის ნაკვეთის ს.კ 81.02.27.009; 81.02.27.010; გაერთიანება (რეესტრის მონაცემებით უკვე გაერთიანებულია ს.კ N81.02.27.043 (1336 კვ.მ); და ერთბინიანი ინდ. საცხოვრებელი სახლის განთავსება; ს.კ 81.02.27.036 (500 კვ.მ) ; ს.კ. N81.02.27.039 (343კვ.მ) და 81.02.27.038 (117კვ.მ) გაერთიანება და ინდ. საცხოვრებელი სახლის განთავსება; ს.კ 81.02.27.070 (558) და 81.02.27.053 (100კვ.მ) დამტკიცებული გრგს შესაბამისად წარმოადგენდა ერთ მიწის ნაკვეთს ხოლო კორექტირებით ს.კ 81.02.27.053 (100კვ.მ)

გამოეყო და დაემატა არსებულ გზას. ორი მიწის ნაკვეთი: ს.კ 81.02.27.065 (305კვ.მ); და 81.02.27.064 (1398 კვ.მ); ერთიანდება 1 მიწის ნაკვეთად და იგეგმება ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება.ამასთან გრგ კორექტირებით დამტკიცებული მაქსიმალური 3 სრული სართული შემცირდა 2 სართული მანსარდით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორის სამხრეთით ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის ასაშენებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 24 დეკემბრის N01/1979 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის“ დამტკიცების საკითხი (საქმე №12-03190437-03 12.02.2019წ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №01183543372-67) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №61 (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: N01.18.06.005.034 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031904921-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 24 ივლისს N01182051449-67 განცხადებით (N011828624-67 - 13.10.2018 01183612076-67 - 27.12.2018 01190283985-67 - 28.01.2019 მიმართა კონსტანტინე კეკელიამ (პ.ნ 42001002474) ქალაქ თბილისში, ქუჩა გორგასალი, N 61, (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: 01.18.06.005.034 (საერთო ფართობი 8989 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე -მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ტერიტორიაზე ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა-2, ხოლო მის ნაწილზე - ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას სადაც განვითარებულია მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებულია ინტენსივობა. საპროექტო წინადადებით შემოთავაზებულია საცხოვრებელი ზონა (სზ) (6999 კვ.მ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)- ით. უცვლელი რჩება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); 1990 კვ.მ. დაზუსტდება პროექტის ეტაპზე. საპროექტო წინადადებით ნაკვეთის წინა ნაწილში

აღმოსავლეთ საზღვართან შემოთავაზებულია სსზ 2-ის შენარჩუნება ფართის უცვლელად და მრავალფუნქციური შენობის განთავსება. დანარჩენი ტერიტორია განვითარდება სზ-6 ით პარამეტრი კ-2=3,0. პარამეტრის 20% მატება გამოიწვია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2018 წლის 12 დეკემბრის N 201834525 ხარვეზის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით: „მიზანშეწონილად ჩაითვლება საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, ხევის მხარეს მაქსიმალურად შეიზღუდოს საავტომობილო გზის განთავსება და ავტომანქანის მოძრაობა, საავარიო და სახანძრო ნორმების გათვალისწინებით, ასევე შემცირდეს აღნიშნულ ნაწილში განაშენიანება, გამოთავისუფლდეს ტერიტორია და მოეწყოს საჯარო სარეკრეაციო სივრცე.“ აღნიშნული ფართები შეემატა სარეკრეაციო სივრცეს. რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სარეკრეაციო საზოგადოებრივი გამოყენების უკანა ეზო სადაც მანქანების მოძრაობა არ მოხდება გარდა გადაუდებელი და სახანძრო შემთხვევებისა. სავარაუდო მაქსიმალური სართულიანობა ამ ეტაპზე წარმოდგენილია სზ-6 -ის არეალში 12 სართული; სსზ-2 ში 15 სართული რაც დაზუსტდება პროექტის ეტაპზე. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება დასამტკიცებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 15 იანვრის N 01190152938 წერილის თანახმად, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 1 2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და ტერიტორიაზე არსებული ხე -

მცენარეების ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია), რომელზედაც სამსახურს ამ ეტაპზე შენიშვნები არ გააჩნია. რაც შეეხება საექსპორტო დასკვნაში აღწერილი ჯანსაღი დიდტანიანი მწვანე ნარგავების (№1; №9; №12; №13; №14; №16 №144) მოჭრის საკითხს, ვინაიდან მოთხოვნილი მწვანე ნარგავები დიდი დიამეტრის მქონე ჯანსაღი მცენარეებია და მათი მოჭრით დაირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ხარისხობრივი მდგომარეობისა და მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების მიზნით სამსახურს მათი მოჭრა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. მწვანე ქალაქის კონცეფციით, მიზანშეწონილია, შენობების მორგება/ ინტეგრირება მწვანე ნარგავებთან და არა პირიქით, შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საპროექტო ტერიტორია განვითარდეს იმგვარად, რომ შენარჩუნდეს ზემოაღნიშნული ჯანსაღი მწვანე ნარგავების მაქსიმალური ოდენობა. ამასთან, გადასარგავი და საკომპესაციოდ დასარგავი ხეები შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას გამწვანების პროექტის ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 29 იანვრის N01190294063 ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში შეიცავს ხარვეზებს და უზუსტობებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა. კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზ. ტრანსპორტით, ობიექტის საპროგნოზო მგზავრობები არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობაზე. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. მიმდებარე ტერიტორიაზე დამაკმაყოფილებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. საპროექტო ტერიტორია არ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურაზე. გარდა ამისა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის მნიშვნელოვნად გაზრდას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების (01190283985-67) დამტკიცების წინააღმდეგი.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი გეგმარებითი დავალების პროექტი ძირითადად მოწონებული იქნა, გამოითქვა შენიშვნა, განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე გეგმარებითი დავალებით მითითებული ფუნქციური ზონებზე კოეფიციენტის გადაჭარბება არ მოხდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, ქუჩა გორგასალი, N 61, (ნაკვ 5/34) საკადასტრო კოდი: 01.18.06.005.034 (საერთო ფართობი 8989 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

5. “ქ. თბილისში, გულუას ქ. N22/ გორგასლის ქ. N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (12-031905978-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 4 იანვარს N01190031658-67 განცხადებით მიმართა ავთანდილ მახარობლიშვილმა (პ/ნ 01008018073) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კრწანისის რაიონში, ვ. გორგასლისა და გულუას ქუჩას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.05.001.033) და მოიცავს 18 888 კვ.მ-ს. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მთლიანად ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). საპროექტო და მისი მიმდებარე ტერიტორია უმეტესწილად განვითარებულია საჯარო და კერძო საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით. ხოლო უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, გორგასლის ქუჩის მხარეს, აშენებულია 16 სართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი. გულუას ქუჩის მხარეს - გაზ-გასამართი სადგური, რომლის მომიჯნავედაც განთავსებულია კვების ობიექტი (რესტორანი), ასევე, მიმდინარეობს

მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოება 15 სართულიან სასტუმროზე. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის N327 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. საპროექტო წინადადებით საპროექტო ტერიტორია ვითარდება არსებული ფუნქციური ზონის, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისად და მისთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების უცვლელად კ-1=0,5; კ-2=4,6; კ-3=0,2. რის მიხედვითაც წარმოდგენილია სასტუმრო და საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო აპარტამენტები 308 ერთეული (16 403.71 კვ.მ); 477 საცხოვრებელი ბინა (25 197.11 კვ.მ); საოფისე ფუნქციის მქონე ერთეულების ფართობი 1819.16 კვ.მ; კომერციული და დამხმარე სახეობის ფართობი 18868.62კვ; ავტოსადგომებისთვის განკუთვნილი ფართობი 24131,7 კვ.მ რაც შეადენს 584 ავტოსადგომს. აღსანიშნავია ტერიტორიის ურბანულად სტრატეგიული ადგილმდებარეობა, რადგანაც ტერიტორია მდებარებს მაგისტრალებს შორის მოქცეულ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციებით დატვირთულ კვარტალში, სადაც თავმოყრილია საქალაქო და ეროვნული მნიშვნელობის ადმინისტრაციული შენობები და წარმოდგენს საზოგადოებრივი მიზიდულობის ცენტრს. ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) მდებარებს მაგისტრალებს შორის მოქცეულ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციებით დატვირთულ კვარტალში, სადაც თავმოყრილია საქალაქო და ეროვნული მნიშვნელობის ადმინისტრაციული შენობები და წარმოდგენს საზოგადოებრივი მიზიდულობის ცენტრს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 11 იანვრის N01190111056 წერილის მიხედვით, წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სამსახურს შენიშვნები არგააჩნია. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 18 იანვრის N01190183348 წერილის შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქოსამსახურმა 2018 წლის 18 სექტემბრის განცხადების საფუძველზე განიხილა აღნიშნული პროექტის ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება და შეითანხმა საგზაო მოძრაობის სქემა. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, გულუას ქუჩა N22/გორგასლის ქუჩა N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.033) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო, საოფისე, კომერციული) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

6. „ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გ. ტერევერკოს II ჩიხი #2-ში; #4-ში; #6-ში; #9-ში; გიორგი ტერევერკოს ქუჩა #15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.017.065; 01.13.01.017.080; 01.13.01.017.078; 01.13.01.017.079; 01.13.01.017.082; 01.13.01.017.076) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით (№12-03190351-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შერეული ტიპის განაშენიანებაში, სადაც გვხვდება მრავალბინიანი, ინდივიდუალური, კომერციული, სპორტული და სხვა ტიპის ობიექტები. ამასთანავე ტერიტორიის დასავლეთით მდებარეობს სხვადასხვა ფუნქციით განვითარებული ობიექტები ინდივიდუალური სახლები და აღმაშენებლის ხეივანი, აღმოსავლეთით ესაზღვრება ინდივიდუალური განაშენიანება და ლუბლიანას ქუჩის გასწვრივ მდებარე საავადმყოფოების კლასტერი. უახლოესი სამხრეთი ნაწილი განვითარებულია საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით, ხოლო ჩრდილოეთით ტერიტორიას ესაზღვრება სპორტული ბაზა. მთლიანი საპროექტო ფართობი შეადგენს 5,095.00 კვ.მ-ს. აქედან 4,199.00 კვ.მ მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი, ხოლო 896 კვ.მ დაურეგისტრირებელი ტერიტორია. საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება გ. ტერევერკოს ქუჩა, აღმაშენებლის ხეივანი, მ.ბერძენიშვილის და ლუბლიანას ქუჩები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 3-ში (სზ-3). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) — დაბალი ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; საპროექტო წინადადებით აღნიშნულ ტერიტორიაზე შემოთავაზებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება და დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მოქმედი ფუნქციური ზონის ცვლილება. საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) იცვლება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ით (3,203.00 კვ.მ.); სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (548.00 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (448.00 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულის საზღვრებში და 896.00 კვ.მ. დაურეგისტრირებელი ტერიტორიისთვის ხდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა (ტზ-1)-ით. საპროექტო წინადადების ფარგლებში შემოთავაზებულია განაშენიანების რეგულირების

შემდეგი პარამეტრები: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), სადაც კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის დადგენა მოთხოვნილია 2,5 ფარგლებში. საპროექტო გადაწყვეტით იგეგმება გ. ტერევერკოს II ჩიხის და მ. ბერძენიშვილის ქუჩების დაკავშირება. ასევე, პროექტით განსაზღვრულია მინიმუმ 548 კვადრატულ მეტრზე საერთო სარგებლობის სარეკრეაციო სივრცის მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 იანვრის N01190102911 წერილის მიხედვით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. ტრანსპორტის ზეგავლენის შეფასება, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, რის საფუძველზეც შეუძლებელია დასკვნის გაკეთება. კვლევის ხარვეზები მოცემულია დანართის სახით. შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული კვლევა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ეტაპზე. გარდა ამისა, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში არსებული ინფორმაციის, მონაცემებისა და სატრანსპორტო დაგეგმვის ზოგადი პრინციპებზე დაყრდნობით, შესაძლებელია აღნიშნულ პროექტზე მსჯელობა. მიმდინარე სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაციის მიხედვით აღმაშენებლის ხეივანი და ლუბლიანას ქუჩა მოიაზრება როგორც სატრანზიტო საზოგადოებრივი ტრანსპორტის დერეფნები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საპროექტო ტერიტორიის საზ. ტრანსპორტით მომსახურების დონეს. აღნიშნული შესაძლებელს გახდის გაიზარდოს საზ. ტრანსპორტის წილი განსაკუთრებით, შორ მანძილზე მგზავრობების შემთხვევაში. საქვეითო მისაწვდომობის მხრივ პრობლემაა, როგორც ფუნქციების სიმწირე საფეხმავლო მანძილზე, ასევე საქვეითო ინფრასტრუქტურა (ტროტუარი და გადასასვლელები). მოხერხებული საქვეითო გადაადგილება წარმოადგენს ინდივიდუალური ავტომობილის ჭარბი მოხმარების წინაპირობას. პრობლემაა ასევე აღმაშენებლის ხეივანზე ტროტუარის და საქვეითო გადასასვლელების სიმწირე. რის გამოც აღმაშენებლის ხეივანზე გამავალი სატრანზიტო ხაზები ფაქტიურად მიუწვდომელი ხდება საპროექტო ტერიტორიიდან. გზის გამტარუნარიანობის მხრივ შეფერხებული მოძრაობა შეინიშნება ლუბლიანას ქუჩაზე, მიმდებარე ტერიტორიის ზოგიერთ კვანძზე კი რეზერვები ფაქტობრივად ამოწურულია. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ქუჩათა ქსელი გეგმარებისა და პარამეტრებიდან გამომდინარე არის საშუალო ინტენსივობის განაშენიანების შესაბამისი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაგეგმილი განაშენიანების საპროგნოზო მგზავრობებში მნიშვნელოვანი წილი ექნება ინდივიდუალური ავტომობილით მგზავრობებს, რაც პრობლემას ქმნის, როგორც ლოკალური ქუჩათა ქსელის ასევე მთელი ქალაქის მასშტაბით. შესაბამისად არსებული და დაგეგმილი სატრანსპორტო სისტემების გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, განაშენიანების ინტენსივობის მოთხოვნილი კ-2 კოეფიციენტი (2,5) არ არის მიზანშეწონილი. რეკომენდებულია ტერიტორიის განვითარება მაქსიმუმ არსებული ზონირებით დადგენილი კოეფიციენტით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 9 იანვრის N0119009532 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-8 მუხლის 1 2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს საპროექტო ტერიტორიაზე, კერძოდ 01.13.01.017.079 საკადასტრო ერთეულზე არსებული მწვანე ნარგავების დეტალურ აღწერას და მათ ხარისხობრივ შეფასებას (ტაქსაცია - ცხრილის სახით, დასურათებული), ასევე - პროექტისათვის ხელისშემშლელი, მოსაჭრელი ან/და გადასარგავი ხეების აღწერას. დამატებით გაცნობებთ, რომ გადასარგავი და საკომპესაციოდ დასარგავი ხეები შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას გამწვანების პროექტის ზოგად მონაცემებში, რომლის დეტალური პროექტიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე. აქვე გაცნობებთ, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით. ამდენად, გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლევკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული ხარვეზების აღმოფხვრამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ნაკვეთები არ არის განაშენიანებული. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა არ არის წინააღმდეგი, გეგმარებით თვალსაზრისით აღნიშნული ტერიტორიის (მათ შორის მიმდებარე გაუნაშენიანებელი ნაკვეთების ჩათვლით ან მის გარეშე) განვითარება/დაგეგმარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს ტერიტორიის მოწესრიგებული ფორმით განვითარებას. აღნიშნული ტერიტორიის განაშენიანება დასაშვებია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფუნქციით, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოებრივი სივრცით, სარეკრეაციო სივრცით და სატრანსპორტო კავშირებით. ამასთანავე ტერიტორიაზე მისასვლელი სამანქანო/საფეხმავლო გზა უნდა შეესაბამებოდეს გენერალური გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ფუნქციურ ზონას (ტზ-1). ტერიტორიის ფარგლებში უნდა იქნას გათვალისწინებული სარეკრეაციო სივრცე შესაბამისი ფუნქციური ზონის ასახვით (რზ-1 ან რზ-2). საპროექტო სართულიანობად სასურველია განისაზღვროს დაბალი ინტენსივობა. საპროექტო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ მითითებული საკადასტრო ერთეულების სამშენებლო განვითარება განხორციელდეს არსებული ზონის ფარგლებში დადგენილი კოეფიციენტებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გ. ტერევერკოს II ჩიხი #2-ში; #4-ში; #6-ში; #9-ში; გიორგი ტერევერკოს ქუჩა #15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: 01.13.01.017.065; 01.13.01.017.080; 01.13.01.017.078; 01.13.01.017.079; 01.13.01.017.082; 01.13.01.017.076) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ. (საქმე №12-03190351- 03.04.02.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №0118359218-67), გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

7. „ქ. თბილისში ნუცუბიდის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.02.013.183) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (12-03190576-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის/ მათი წარმომადგენლებისათვის/ უფლებამონაცვლეებისათვის განსაზღვრული ან ალტერნატიული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართეს ყოფილი საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/ მათმა წარმომადგენლებმა/ უფლებამონაცვლეებმა, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის №19.179.258 განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრულმა 93 პირმა) და მოითხოვეს „ქ. თბილისში, ნუცუბიდის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.02.013.183) მათთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად

მიიჩნევს, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 223 კვ.მ მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/ მათი წარმომადგენლებისთვის/ უფლებამონაცვლებისთვის გადაცემას, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით (2019 წლის 20 თებერვლის №19.179.258 განკარგულება), საკრებულოს შესათანხმებლად წარმოდგინა ქ. თბილისში, ნუცუბიდის მე-3 მ/რ, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 223 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.02.013.183), ამავე განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული - ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის/ უფლებამონაცვლებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების საკითხი და შესაბამისი ხელშეკრულების (ამავე განკარგულების დანართი N2- ის შესაბამისად) პროექტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე №12-03190576-03 26.02.2019წ) განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

8. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დეზიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის №19.112.142 განკარგულებაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031905083-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 116 მუხლის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის“ მიერ განაცხადთა შეფასების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 23 აგვისტოს №31.02.609 და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 15 სექტემბრის №34.04.652 განკარგულებების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის შესახებ“ 2017 წლის 15 სექტემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის, მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის 8.4.15 და 8.4.16 ქვეპუნქტების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა პროექტი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული, ზოგიერთი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯიასთვის“ (ს/ნ 205130464) გადაცემის შესახებ“ საკითხი. წარმოდგენილია 377 ლოკაცია 1 კვ.მ ფართობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის ვადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 31 იანვრის №19.112.142 განკარგულებით განისაზღვრა 2028 წლის 15 სექტემბრამდე .

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე №12-03190576-03 26.02.2019წ) განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში (ს/კ: #01.11.12.002.061) მდებარე 168.54 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით შეთანხმების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე“ (12-031905084-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 30 დეკემბრის 04-1/174 ბრძანებით, ააიპ - იას (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061) მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.002.061) II სართულზე არსებული 445.21 კვ.მ. ფართიდან 157.55 კვ.მ. ფართი, ორი წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, ამ ორგანიზაციამ ელექტრონული განცხადებით (QN1658326) ითხოვა ამ უძრავი ქონების იგივე სარგებლობის ფორმით გადაცემა, დაზუსტებული ფართობით

(168.54 კვ.მ.), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და ბავშვებისთვის დღის ცენტრის განთავსების მიზნით. ამ განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი ფართის ააიპ - "იასთვის" (ს/კ: 200160636) ორი წლით გადაცემის საკითხი.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

10. ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (12-031905087-03; 12-031905089-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემ ქალბატონმა ნინო კვეციანამ. მისი თქმით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისათვის/ მათი წარმომადგენლებისათვის/უფლებამონაცვლეებისათვის განსაზღვრული ან ალტერნატიული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა/ მათმა წარმომადგენლებმა/ უფლებამონაცვლეებმა, (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის №19.52.98 განკარგულების დანართი №1-ით განსაზღვრულმა პირებმა) და მოითხოვეს „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების მათთვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საკითხის „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაოსამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის/უფლებამონაცვლებებისთვის გადაცემას, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით (2019 წლის 23 იანვრის №19.52.98 განკარგულება), საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინა „ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების, ამავე განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული - ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/ მათი წარმომადგენლებისთვის/ უფლებამონაცვლებებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზების საკითხი და შესაბამისი ხელშეკრულების (ამავე განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად) პროექტი

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

11. ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (12-031905089-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეციანაძემ.

კომისიამ იმსჯელა, ქ. თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარედგინა შესახებ „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის N 19.125.180 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის (ნაკვეთი 03/24) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცალკეული ფართების სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, დანართი 1- ით განსაზღვრული ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2- ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

12. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-031905297-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით,

კომისიამ იმსჯელა, “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.93.104 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N21-ში, მე-2 სართულზე მდებარე 54.50 კვ.მ ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.098.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე მათე აბრამიშვილისთვის (პ/ნ 38001023714) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

13. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე “ (12-031905297-03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით,

კომისიამ იმსჯელა, “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება - 3, I მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №19.82.133 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება -3, I

მიკრორაიონის კორპუს N4ა-ში მდებარე ბინა N1ა-ს ფართით 85.71 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.19.39.028.009.01.001ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე მათე ლალიაშვილისთვის (პ/ნ 01024037559) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

14. “ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონის კორპუს N25ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (12-031905297-03)


საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით,

კომისიამ იმსჯელა, “ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონის, კორპუს N25აში (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 6 თებერვლის №19.131.158 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: “ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4ბ მიკრორაიონში, კორპუსი N25ა-ში ბინა N1- ის ფართით 60.50 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.001.01.04.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე დავით დავითაშვილისთვის (პ/ნ 01003003214) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



რევაზ სოხაძე